

შპს „კერხერი „

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია -----	7
2. მომზადების საფუძვლები -----	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები -----	9
4. შემოსავალი -----	15
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -----	16
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები -----	16
7. კომერციული ხარჯები -----	17
8. საპროცენტო ხარჯი, წმინდა -----	17
9. კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი , წმინდა -----	17
10. ძირითადი საშუალებები -----	18
11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----	19
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	19
13. ფული და დულის ეკვივალენტები -----	20
14. სხვა ვალდებულებები -----	20
15. მიღებული სესხები -----	21
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	22

შპს კერხერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4	8,077,583	6,457,343
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(4,789,042)	(4,046,902)
საერთო მოგება		3,288,541	2,410,441
სხვა შემოსავლები		11,829	23,452
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,392,566)	(744,753)
კომერციული ხარჯები	7	(1,594,835)	(1,208,370)
საოპერაციო მოგება		312,969	480,770
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	8	(71,023)	(23,194)
ზარალი საკურსო სხვაობებიდან, წმინდა	9	87,240	(235,442)
მოგება დაბეგვრამდე		329,186	222,134
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		329,186	222,134
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული მოგება		329,186	222,134

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით შემდეგი პირების მიერ :

დირექტორი

ნიკოლოზ ბათირაშვილი

ფინანსური
ხელმძღვანელი

განყოფილების

თენგიზ შენგელია

KÄRCHER

ადმინისტრაცია

404488826

შპს „კერხერი“

ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 167

შპს კერხერი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	372,048	237,975
არამატერიალური აქტივები		56,416	63,747
სულ გრძელვადიანი აქტივები		428,464	301,722
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	2,036,301	1,478,052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,897,599	1,478,135
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	72,867	299,419
სულ მიმდინარე აქტივები		4,006,767	3,255,606
სულ აქტივები		4,435,231	3,557,328
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,173,329	1,173,329
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		315,576	(13,610)
რეზერვები	15	122,395	122,395
სულ საკუთარი კაპიტალი		1,611,300	1,282,114
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	14	55,762	41,225
სესხი	15	728,416	808,925
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		784,178	850,150

მიმდინარე ვალდებულებები



სხვა ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	14	46,947	45,888
სესხის მიმდინარე ნაწილი	15	110,846	15,511
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,881,960	1,363,665
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,039,753	1,425,064
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,435,231	3,557,328

შპს კერხერი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
31 დეკემბერი 2016	1,173,329	(235,744)	-	937,585
რეზერვები	-	-	122,395	122,395
მთლიანი სრული მოგება წლის		222,134	-	222,134
31 დეკემბერი 2017	1,173,329	(13,610)	122,395	1,282,114
მთლიანი სრული მოგება	-	329,186	-	329,186
31 დეკემბერი 2018	1,173,329	315,576	122,395	1,611,300

შპს კერხერი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები			
მოგება დაბეგვრამდე		329,186	222,134
კორექტირებები			



ცვეთა და ამორტიზაცია		97,789	77,353
უიმედო სავაჭრო დებიტორული დავალიანება		178,608	-
ანარიცხები		40,230	30,534
საპროცენტო ხარჯი , წმინდა	8	71,023	23,194
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	9	(87,240)	235,442
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		629,596	588,657
კაპიტალის ცვლილება			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(558,251)	(401,437)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა		(575,496)	(361,518)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა		563,228	584,788
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		59,077	410,490
გადახდილი გადასახადები		(92,961)	(12,210)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გასვლა		(33,884)	398,280
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(151,694)	(3,375)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,813)	(52,463)
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინება		(158,507)	(55,838)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სხვა გადასახდელების დაფარვა		(16,050)	(40,835)
წმინდა ფულადი სახსრები გადასახადების დაფარვიდან		(16,050)	(40,835)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(208,441)	301,607
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	299,419	22,338
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი	9	(18,111)	(24,526)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	72,867	299,419

KÄRCHER

ადმინისტრაცია

40.148826

შპს „კარსერი“

ქ.თბილისი, ბაქოშვილის ქ.167

1. ზოგადი იმფორმაცია

შპს კერხერი (შემდგომში - კომპანია) არის 2015 წელს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართით: ბელიაშვილის ქუჩა #167, თბილისი, საქართველო.

დამფუძნებელია 100% ის მფლობელი გერმანული კომპანია შპს კერხერი რომელიც ფუნქციონირებს გერმანული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მაღალი წნევის აპარატებისა და საყოფაცხოვრებო დასუფთავების ტექნიკით ვაჭრობა, პროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, საბითუმო გაყიდვის, შეკეთების და მომსახურების სფეროში.

2. მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ, ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ა) ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.


ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე



განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტების ძალაში შესვლამ გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

კერძოდ

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან .

აღნიშნული სტანდარტების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ შენიშვნებში.

სხვა ახლა გამოცემულ სტანდარტებსა, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს რომელსაც მომდევნო წლიდან გამოიყენებს კომპანია, გავლენა არ მოუხდენია მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შედის კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

იჯარა ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის

პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

რეალიზაცია და მისი აღიარების პირობები

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი,

კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს,

როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში, და

ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.



კომპანიის მიერ გაყიდული ზოგიერთი საქონელი მოიცავს გარანტიით გაყიდვებს, რომლებიც რეალიზაციიდან ცალკე არ გაიმიჯნება და ბასს 37-:ანარიცხები,პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებების შესაბამისად მასზე შექმნილია ანარიცხები რეალიზაციის 0,05 %.

გარიგების ფასის დადგენა

რეალიზაციის უმეტესი ნაწილის ფასი დგინდება კონტრაქტებიდან, რომლებშიდაც განსაზღვრულია პროდუქციის შეთანხმებული ფასი.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა რომელიც წარმოიქმნება გასული პერიოდის სამეურნეო მოვლენის შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განიცემული რესურსის გასვლას კომპანიიდან.

დაფარვის ვადების მიხედვით კომპანის გააჩნია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები.

უცხოურ ვალუტაში აღრიცხული სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ყოველი თვის ბოლოს ექვემდებარება გადაფასებას და კურსთაშორის სხვაობა აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალში.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები



საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზ.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საღაროში არსებული ფულადი სახსრებისაგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან, კომპანიას გააჩნია საბანკო ანგარიშები ორ უცხოურ USD და EUR ვალუტებში, რომლის გადაფასებაც ხდება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით, ყოველი თვის ბოლოს და კურსთაშორის სხვაობა აისახება მოგება-ზარალში.

დებიტორული დავალიანება


საწარმოს მოთხოვნები წარმოეშობა მყიდველებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას.

დებიტორული დავალიანება წარმოიშობა მხოლოდ ისეთ მყიდველთან, რომელთანაც ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებულია შემდგომი გადახდის პირობა. ყველა მყიდველთან წინასწარ ცნობილია მოთხოვნის გადახდის ვადები, მაქსიმალური გადახდის ვადა მიწოდებიდან 75 დღეა, ყველა მათგანი მიეკუთვნება მოკლევადიან აქტივთა ჯგუფს. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ძირითადი საშუალების შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

- ძირითადი საშუალებები აღიარდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და



გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:
ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5
ავტომობილები	7

აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, წარდება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი შემდეგი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 7 წლის მანძილზე.

ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს, სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღირიცხება პერსპექტიულად.

საწარმოსა გააჩნია შემდეგი ტიპის არამატერიალური აქტივები: ბუღალტრული აღიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც საწარმო არიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით (ცვეთის ნორმა 15 %)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

ვალდებულების აღრიცხვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით, ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა რომელიც წარმოიქმნება გასული პერიოდის სამეურნეო მოვლენის შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის გასვლას კომპანიიდან.

ვალდებულებების მაგალითებია, საქონლის მიღება კრედიტით როგორც მიმდინარე ასევე უცხოურ ვალუტაში, სასესხო ვალდებულების მიღება, საგადასახადო ვალდებულებები, დარიცხული ვალდებულებები და სხვ.

დაფარვის ვადების მიხედვით კომპანის გააჩნია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები.

კომპანიას ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში ესაჭიროება გარკვეული რაოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, შეძენა შეიძლება განხორციელდეს წინასწარი, იმავდროული ან შემდგომი გადახდის პირობით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოიშობა სავაჭრო ვალდებულება.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულებით. სათავო ოფისთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების თანახმად გადახდის ვადა ინვოისების თარიღიდან არაუგვიანეს მესამე თვის 15 რიცხვია.

უცხოურ ვალუტაში აღრიცხული სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ყოველი თვის ბოლოს ექვემდებარება გადაფასებას და კურსთაშორის სხვაობა აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალში.

იჯარა

კომპანია აღრიცხავს იჯარას ბასს 17 შესაბამისად, რომელიც გამოყოფს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.



საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად. მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საგარანტიო ვალდებულებები

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, სხვა რეალური ალტერნატივა.

იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება:

- ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების);
- ბ) კანონმდებლობის; ან
- გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

- ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით სა-წარმომ სხვა მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში თავის თავზე აიღებს გარკვეულ ვალ-დებულებებს; და
- ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და ამასთან, სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება, შესაბამისი ანარიცხის თანხა აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა დამოკიდებულია მომავალ მოვლენაზე, რომლის მოხდენის ალბათობა განუსაზღვრელია, ან შეუძლებელია საიმედოდ შეფასება, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაიშიფრება ინფორმაცია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით

კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. საგარანტიო ანარიცხებს აფასებს წარსული გამოცდილებისა და იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე და მომავალში

აღმინისტრაცია

404488826

შპს „კარხერ“

შ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.167

დასაკამყოფილებელი მოვალეობის შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის რეალიზებული საქონლისთვის.

საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია საგარანტიო ვალდებულების კონსტრუქციული მოვალეობა, თითოეულ მომხმარებელთან საქონლის მიწოდებისას საგარანტიო ვადა განისაზღვრება საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ყოველი თვის ბოლოს საწარმო ქმნის ანარიცხს რეალიზაციის 0.5% ოდენობით, და ყოველი გაწეული საგარანტიო მომსახურება ამცირებს შესაბამისი პერიოდის ვალდებულებას. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება დარჩენილი საგარანტიო ვალდებულების შეფასება ვადების გათვალისწინებით. საგარანტიო ვალდებულება ფასდება გრძელვადიანი და მიმდინარე ნაწილის გამოიჯვანით.

საგარანტიო ვალდებულებების შესრულებისათვის გახარჯული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება პერიოდის ხარჯად.

4. შემოსავალი

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლები შეიძლება წარმოავადგინოთ შემდეგნაირად.

	2018	2017
პროფესიონალი		
აპარატები	2,986,468	2,389,274
აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	1,167,236	1,157,300
სითხეები	124,250	218,285
საყოფაცხოვრებო		
აპარატები	3,252,992	2,415,241
აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	374,028	242,976
სითხეები	98,676	19,674
სერვისი	73,933	14,593
ჯამი	8,077,583	6,457,343



5. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად.

	2018	2017
პროფესიონალი		
აპარატები	(1,758,443)	(1,510,991)
აქსესუარების და სათადარიგო ნაწილები	(729,369)	(789,090)
სითხეები	(93,700)	(137,022)
საყოფაცხოვრებო		
აპარატები	(1,901,523)	(1,448,500)
აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	(206,487)	(146,587)
სითხეები	(55,024)	(12,240)
სერვისი	(44,496)	(2,472)
ჯამი	(4,789,042)	(4,046,902)

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები დასრულებული 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის

	2018	2017
სახელფასო ხარჯი	(379,519)	(243,036)
პროფესიონალური მომსახურება	(208,735)	(72,310)
უიმედო დებიტორული დავალიანება	(178,608)	-
მივლინების ხარჯი	(126,509)	(78,969)
იჯარის ხარჯი	(78,938)	(58,184)
ცვეთა და ამორტიზაცია	(73,685)	(50,085)
საგარანტიო მომსახურების ხარჯები	(72,583)	(71,324)
ოფისის ხარჯები	(52,443)	(51,964)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(44,839)	(35,217)
ბანკის საკომისიო	(28,798)	(19,390)
დაცვის ხარჯები	(24,976)	(1,229)
საწვავის ხარჯები	(16,212)	(12,307)
ქონების დაზღვევა	(4,638)	(4,835)
კომუნალური ხარჯები	(3,410)	(2,438)
კომუნიკაციის ხარჯები	(3,362)	(10,457)
სხვა ხარჯები	(95,311)	(33,008)
ჯამი	(1,392,566)	(744,753)

KÄRCHER

ადმინისტრაცია

404488826

შპს „კარხერი“

ქ.თბილისი, ბელაშვილის ქ.167

7. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები დასრულებული 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის

	2018	2017
მარკეტინგული ხარჯები	(459,165)	(215,380)
ხელფასის ხარჯი	(441,682)	(339,680)
იჯარის ხარჯი	(408,874)	(303,773)
დეკლარაციის შევსების ხარჯი	(117,292)	(68,584)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(100,105)	(83,399)
ცვეთა და ამორტიზაცია	(24,104)	(27,268)
საბროკერო ხარჯი	-	(102,147)
სხვა ხარჯი	(43,613)	(68,139)
ჯამი	(1,594,835)	(1,208,370)

8. საპროცენტო ხარჯი, წმინდა

საპროცენტო ხარჯი, 2018 და 2017 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი:		
ალფრეს კერხერი (სათავო კომპანია)	(62,887)	(15,777)
სხვა	(8,136)	(7,417)
სულ საპროცენტო ხარჯი.	(71,023)	(23,194)

9. კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი

კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი 2018 და 2017 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2018	2017
კურსთა შორის სხვაობით მიღებული რეალიზებული მოგება/ზარალი	(18,111)	(24,526)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული არარეალიზებული მოგება/ზარალი	105,351	(210,916)
ჯამი	87,240	(235,442)



10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ისტორიული ღირებულება	მანქანები	საოფისე ტექნიკა და ავეჯი	სულ
31.12.2016	136,797	124,532	261,329
შეძენა	73,636	6,120	79,756
31.12.2017	210,433	130,652	341,085
შეძენა	55,874	165,670	221,544
გასვლა	-	(8,214)	(8,214)
31.12.2018	266,307	288,108	554,415
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2016	(26,797)	(14,340)	(41,137)
ცვეთა წლის განმავლობაში	(35,332)	(26,641)	(61,973)
31.12.2017	(62,129)	(40,981)	(103,110)
ცვეთა წლის განმავლობაში	(46,012)	(37,631)	(83,643)
გასვლა	-	4,386	4,386
31.12.2018	(108,141)	(74,226)	(182,367)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2017	148,304	89,671	237,975
31.12.2018	158,166	213,882	372,048

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში ფლობს სატრანსპორტო საშუალებებს, შესაბამისად 130 560 ლარი და 106 878 ლარი ღირებულების.

KÄRCHER
 ადმინისტრაცია
 404488826
 შპს „კარხერი“
 ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.167

11. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის


	2018	2017
საყოფაცხოვრებო		
აპარატები	600,126	432,238
აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	126,835	110,378
სითხეები	24,121	42,671
პროფესიონალური		
აპარატები	618,554	326,228
აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	618,538	543,112
სითხეები	32,618	15,226
სხვა	15,509	8,199
ჯამი	2,036,301	1,478,052

12.სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,970,419	1,459,122
მთლიანი დებიტორული დავალიანება	1,970,419	1,459,122
უიმედე დებიტორული დავალიანება	(178,608)	-
სულ დებიტორული დავალიანება	1,791,811	1,459,122
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	40,894	5,199
გადახდილი გადასახადები	64,894	13,814
სულ არაფინანსური მოთხოვნები	105,788	19,013
სულ ჯამი	1,897,599	1,478,135

დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადა უმეტესად ხელშეკრულებით განსაზღვრულია 45 დღიანი პერიოდი.



ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი იმფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოადგენილია შემდეგნაირად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უიმედო დებიტორული დავალიანების ანარიცხი შემდეგია

	მიმდინარე	ვადაგადაცილებული	45 დღეზე მეტი	135 დღეზე მეტი	320 დღეზე მეტი	სრულად გაუფასურებული	ჯამი
საექვო მოთხოვნის შესაფასებელი %	1%	3%	5%	50%	50%	100%	
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება	1,317,453	185,866	313,093	16,888	2,720	134,399	1,970,419
გაუფასურების ანარიცხი	13,174	5,576	15,655	8,444	1,360	134,399	178,608

უიმედო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერა პერიოდის ხარჯად მოგება /ზარალის ანგარიშგებაში.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 სა და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის .

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაშთი ბანკში ლარი	53,881	156,132
ფულადი ნაშთი ბანკში უცხოური ვალუტა	6,198	140,426
ფული საღაროში	12,788	2,861
ჯამი	72,867	299,419

14. სხვა ვალდებულებები

კომპანია ფლობს ავტომანქანებს სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში , რომლებიც ფინანსური იჯარის სახით არის წარმოდგენილი ფინანსურ ნაგარიშგებაში, აღნიშნული იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად და შესაბამისად 2018 და 2017 წლის ბოლოს შეადგენდა გრძელვადიანი ვალდებულების მუხლზე 55 762 ლარი და 41 225 ლარი, ხოლო 46 947 ლარი და 45 888 ლარს მოკლევადიან ვალდებულებების სახით.

31.12.2017	87,113
ვალდებულებების გაზრდა	66,022
დარიცხულ პროცენტი	8,136
სხვა დარიცხული ხარჯები	7,765
ძირითადი თანხის დაფარვა	(16,050)
პროცენტი	(54,836)

KÄRCHER
 აღმინიშნავია
 404488826
 შპს „კერხერი“
 ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.167

კურსთაშორის სხვაობის ეფექტი
31.12.2018

4,559
102,709

15. სასესხო ვალდებულების აღრიცხვა
სესხი 31.12.2018 ის მდგომარეობით

31.12.2018

	პროცენტი	ვალუტა	საწ.თარიღი	საბ.თარიღი	პროცენტი	ძირი	ძირი
სათავო კომპანია კერხერი	3.5%	EUR	24.10.17	30.09.22	40,627	70,219	728,416
ჯამი					40,627	70,219	728,416

2017 წლის ოქტომბერში გაფორმებული სესხის ხელშეკრულების თანახმად, სათავო კომპანიამ გასცა სესხი 877 200 ლარის ოდენობით (300 000 ევრო)-ს ეკვივალენტი, წლიური 3,5 % პროცენტად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული (NBG) საპროცენტო განაკვეთი მიმდინარე წლისათვის შეადგენდა 8% -ს, სხვაობის თანხა 122 395 ლარი ნომინალსა და სააღრიცხვო ღირებულებას შორის აღიარდა კაპიტალში.

სასესხო ვალდებულების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდეგ კომპანია აფასებს ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით.

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

31.12.2017	824,436
სასესხო ვალდებულების ზრდა	-
დარიცხული პროცენტი	62,887
	-
	-
პროცენტის გადახდა	(38,125)
კურსთაშორის სხვაობა	(9,936)
31.12.2018	839,262

მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

31.12.2016	-
სესხის Alfred Kärcher GmbH & Co. KG ისაგან	877,200

KÄRCHER

ადმინისტრაცია

404488826

შპს „კარხერი“

მ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.167

დარიცხული პროცენტი	15,777
ფინანსური ეფექტი	(122,395)
ძირის დაფარვა	-
პროცენტის დაფარვა	-
კურსთასორის სხვაობით გამოწვეული ეფექტი	53,854
31.12.2017	824,436

16.კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები

კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	1,801,977	1,315,108
სახელფაო ვალდებულება	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,801,977	1,315,108
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	2,908	3,818
სხვა	77,075	44,739
სულ არაფინანსური ვალდებულებები	79,983	48,557
სულ ვალდებულებები	1,881,960	1,363,665

KÄRCHER
 ადმინისტრაცია
 404488826
 შპს „კარხერი“
 ქ.თბილისი, ბულიშვილის ქ.167